პროექტის კორექტირება (შეთანხმებულია ბრძანებით # 206572 08.06.2012) მოხდა უკვე განხორციელებული ცვლილებების გამო, კერძოდ,
მშენებლობის დროს პროექტმა განიცადა მცირე ცვლილებები:
შენობის ბრტყელი გადახურვა შეიცვალა ქანობიანი ლითონის სახურავით.
შეიცვალა ფანჯრების, კარებების, ვიტრაჟების და აივნების მოაჯირების ნახატი.
მესამე, მეხუთე სართულებზე მოხდა ბინების გაერთიანება და შესაბამისად შეიცვალა მათი ფართები.
პირველი სართულის ტერასები და მერვე სართულის აივანი ნაწილობრივ გადაიხურა ლითონის კონსტრუქციაზე დამონტაჟებული "ლამექსი" მინით.

ცვლილება განიცადა ბინების ნომენკლატურამ: მესამე სართულზე ბინა #34-ის ფართი განაწილდა #33 და #35 შორის; მეოთხე სართულზე გაერთიანდა ბინა#11 და ბინა #12; მეხუთე სართულზე გაერთიანდა ბინები #40 და #41.

ზემოთ ხსენებული ცვლილებების გამო შპს "ზიმო"-ს დაეკისრა ჯარიმა შეთანხმებული პროექტის დარღვევის გამო და გადახდილი იქნა კორექტირებული პროექტის შეთანხმებამდე.